თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 12 აპრილის სხდომის

ო ქ მ ი N3

2019 წლის 12 აპრილს ჩატარდა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, გიორგი ქავთარაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ვაჟა კიკნაძე, ელდარ ბუბულაშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ნინო მინდაძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, სალომე ოქრუაშვილი. საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ლ. ჯანიაშვილმა საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. სამეცნიერო საბჭოს მდივნის არჩევა.
2. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილების შეტანა (ინსტიტუტის ლოგოს საკითხი).
3. საინსტიტუტო ჟურნალის კონცეფციის განხილვა (მომხსენებელი ალ. თვარაძე).
4. ინსტიტუტის შინაგანაწესის პროექტის განხილვა-დამტკიცება (მომხსენებელი ვ. ვაშაკიძე).
5. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. სამეცნიერო საბჭოს მდივნის არჩევა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: სასურველია, სამეცნიერო საბჭოს მდივანი იყოს საბჭოს წევრი, ამიტომ, საბჭოს მდივნად წარმოგიდგენთ ქ-ნ ლიანა ბითაძის კანდიდატურას. გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივნად არჩეული იქნა ლიანა ბითაძე.

მოისმინეს:

2. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილების შეტანა (ინსტიტუტის ლოგოს საკითხი).

ლავრენტი ჯანიაშვილი: ჩვენი ინსტიტუტის რეკლამირებისათვის საჭიროა ინსტიტუტს ჰქონდეს თავისი ლოგო. ინსტიტუტის მოქმედი დებულება ამის უფლებას არ იძლევა. თსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტთან კონსულტაციით გაირკვა, რომ შეგვიძლია შევიტანოთ მასში ცვლილება. საჭიროა დროულად დაიწყოს პროცედურები, რისთვისაც კენჭი უნდა ვუყაროთ საკითხს, რათა ჩვენი ინსტიტუტის დებულებაში შევიდეს ცვლილება იმის შესახებ, რომ ინსტიტუტს ჰქონდეს თავისი ლოგო. გაიმართა მსჯელობა.

აზრი გამოთქვეს: როლანდ თოფჩიშვილმა, ნინო მინდაძემ, ვაჟა კიკნაძემ, ლევან გორდეზიანმა, ვალერიან ვაშაკიძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ინსტიტუტის მოქმედ დებულებაში შევიდეს ცვლილება და დაემატოს პუნქტი ინსტიტუტის ლოგოს შესახებ.

მოისმინეს:

3. საინსტიტუტო ჟურნალის კონცეფციის განხილვა (მომხსენებელი ალ. თვარაძე).

ალექსანდრე თვარაძე: მოკლედ გაგაცნობთ ინსტიტუტის ჟურნალისთვის პუბლიკაციის წარმოდგენის წესების წინასწარ მომზადებულ ვარიანტს. წესების შედგენისას ძირითადად, ვხელმძღვანელობდი როგორც ქართულენოვანი სამეცნიერო ჟურნალების, ასევე, უცხოენოვანი სამეცნიერო ჟურნალების მონაცემებით (დაახლოებით, 30 ჟურნალის მონაცემები განვიხილეთ). რაც შეეხება, ენების საკითხს, ვფიქრობ, საბჭომ უნდა გადაწყვიტოს. ჟურნალის სათაურის საკითხი ჯერ–ჯერობით ღიაა. გაიმართა მსჯელობა ჟურნალის ენის საკითხზე, „აბსტრაქტზე", რეფერირებაზე.

აზრი გამოთქვეს: ვალერიან ვაშაკიძემ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ნინო მინდაძემ, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ნიკოლოზ ჯავახიშვლმა.

დაადგინეს: ტექნიკური ხასიათის შენიშვნა კონცეფციასთან დაკავშირებით არ არის; საბჭოს წევრებმა, თავიანთი მოსაზრება ჟურნალის სათაურთან დაკავშირებით (ელექტრონული ფოსტით), ერთი კვირის ვადაში მიაწოდონ საბჭოს თავმჯდომარეს, რათა შემდგომ შეხვედრაზე საბჭო შეჯერდეს ინსტიტუტის ჟურნალის საუკეთესოზე სახელწოდებაზე.

მოისმინეს:

4. ინსტიტუტის შინაგანაწესის განხილვა-დამტკიცება (მომხსენებელი ვ. ვაშაკიძე).

ვალერიან ვაშაკიძე: როდესაც შინაგანაწესის პროექტზე ვმუშაობდით, ვეყრდნობოდით ინსტიტუტის 2011 წელს დამტკიცებულ შინაგანაწესს, სადაც მითითებული იყო სამუშაო დღის დასაწყისი 10 საათი და დამთავრება 18 საათი. შრომის კოდექსში მითითებულია, რომ სამუშაო კვირის ზედა ზღვარია 40 საათი, ქვედა ზღვარი არ არის დაწესებული. ინსტიტუტის შინაგანაწესის პროექტი განიხილება თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტში და ძალაში შევა მას შემდეგ, რაც შეთანხმებული იქნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. გთავაზობთ, ჩვენს მიერ მომზადებულ პროექტში, სამუშაო დღის დასაწყისად განისაზღვროს 11 საათი, ხოლო დასასრულად - 18 საათი, შესვენების გარეშე. გაიმართა მსჯელობა.

აზრი გამოთქვეს: მარიამ ჩხარტიშვილიმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ნინო მინდაძემ, ეკა კვაჭანტირაძემ, ვაჟა კიკნაძემ.

დაადგინეს: ინსტიტუტის შინაგანაწესში სამუშაო დღის დასაწყისად განისაზღვროს 11 საათი, ხოლო დასასრულად - 18 საათი, შესვენების გარეშე. შინაგანაწესის წარმოდგენილი პროექტი შესათანხმებლად გადაიგზავნოს თსუ-ს ადმინისტრაციაში (დანართი 2).

მოისმინეს:

5. მიმდინარე საკითხები.

მარიამ ჩხარტიშვილი: იქნებ მივიღოთ დადგენილება, რომ ინსტიტუტის სემინარზე – *„საინსტიტუტო საუბრები“* – წაკითხული სამეცნიერო მოხსენებები, სერიების სახით დაიბეჭდოს. გაიმართა მსჯელობა.

აზრი გამოთქვეს: ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ეკა კვაჭანტირაძემ, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ლიანა ბითაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, გიორგი ქავთარაძემ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე – 13 წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ინსტიტუტის 2020 წლის ბიუჯეტში ჩაიდოს თანხები, რათა სემინარზე - *„საინსტიტუტო საუბრები“* - წაკითხული სამეცნიერო მოხსენებები სერიების სახით გამოიცეს.

სხდომამ დაადგინა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივნად არჩეული იქნა ლიანა ბითაძე.

2. ინსტიტუტის მოქმედ დებულებაში შევიდეს ცვლილება და დაემატოს პუნქტი ინსტიტუტის ლოგოს შესახებ.
3. ტექნიკური ხასიათის შენიშვნა კონცეფციასთან დაკავშირებით არ არის; საბჭოს წევრებმა, თავიანთი მოსაზრება ჟურნალის სათაურთან დაკავშირებით (ელექტრონული ფოსტით), ერთი კვირის ვადაში მიაწოდონ საბჭოს თავმჯდომარეს, რათა შემდგომ შეხვედრაზე საბჭო შეჯერდეს ინსტიტუტის ჟურნალის საუკეთესოზე სახელწოდებაზე.
4. ინსტიტუტის შინაგანაწესში სამუშაო დღის დასაწყისად განისაზღვროს 11 საათი, ხოლო დასასრულად - 18 საათი, შესვენების გარეშე. შინაგანაწესის წარმოდგენილი პროექტი შესათანხმებლად გადაიგზავნოს თსუ-ს ადმინისტრაციაში (დანართი 2).
5. ინსტიტუტის 2020 წლის ბიუჯეტში ჩაიდოს თანხები, რათა სემინარზე - *„საინსტიტუტო საუბრები“* - წაკითხული სამეცნიერო მოხსენებები სერიების სახით გამოიცეს.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

12. 04. 2019

№3 ოქმის დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2019 წლის 12 აპრილის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- დოდო ჭუმბურიძე
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის

შინაგანაწესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის (შემდგომში - ინსტიტუტი) შინაგანაწესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსს, საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის წესდებას, შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, დამსაქმებლისა და დასაქმებულის უფლებამოვალეობების განმსაზღვრელ უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივ აქტებს, ინსტიტუტის დებულებას.
2. შინაგანაწესის შესრულება სავალდებულოა ინსტიტუტის სამეცნიერო, არასამეცნიერო და სხვა პერსონალისათვის.

მუხლი 2. ინსტიტუტის პერსონალის უფლებები და მოვალეობები

1. ინსტიტუტის პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება სამუშაოს აღწერილობით, რომელიც თან ერთვის თითოეული თანამშრომლის შრომით ხელშეკრულებას;
2. ინსტიტუტის პერსონალი ვალდებულია შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 3. ინსტიტუტის პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები

ინსტიტუტის პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების

საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
დ) კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი სხვა შემთხვევები.

მუხლი 4. სამუშაო დღის დასაწყისი და დასასრული

1. ინსტიტუტში, ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში, ყოველდღიური სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება 7 საათით;
2. სამუშაო დღე იწყება 11^{00} საათზე და მთავრდება 18^{00} საათზე;
3. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე (სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, საველე პირობებში და ა.შ.), სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ თითოეული თანამშრომლისათვის შემუშავებულია და მოქმედებს ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკი, რომელიც შეთანხმებულია დირექტორთან და დამტკიცებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ;
4. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის თანხმობით, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ინსტიტუტის ტერიტორიაზე შეიძლება დარჩნენ ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები.

მუხლი 5. დასვენების ხანგრძლივობა

გარდა ოფიციალურად დაწესებული უქმე დღეებისა, ინსტიტუტის დასვენების დღეებია შაბათი და კვირა.

მუხლი 6. შვებულება

1. ინსტიტუტის თითოეული თანამშრომელი უფლებამოსილია წელიწადში ერთხელ საკუთარი სურვილის მიხედვით და დირექტორის თანხმობით, თსუ-ს ადმინისტრაციის სახელზე დაწერილი პირადი განცხადების საფუძველზე, ისარგებლოს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით;
2. არაანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით.

მუხლი 7. სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულებათა ინსტიტუტის პერსონალამდე დაყვანის წესი

სამსახურებრივ საკითხებზე განკარგულების ან ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის თანამშრომელთათვის გაცნობა ხდება:
ა) დანიშნულების მიხედვით, სტრუქტურულ ქვედანაყოფში გაგზავნით;
ბ) პირადად, რასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული;
გ) სპეციალურ (საინფორმაციო) დაფაზე განთავსებით;
დ) ტექნიკური საშუალებებით (ტელეფონი, ფაქსი, ელ. ფოსტა და ა.შ.).

მუხლი 8. ხელფასის გაცემის დრო და ადგილი

1. თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (ხელფასის გაცემა) ხორციელდება ყოველი თვის ბოლო სამუშაო კვირაში;
2. ხელფასი დაირიცხება დასაქმებულის ანგარიშზე.

მუხლი 9. შრომის დაცვის ზოგადი ინსტრუქციები

1. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას უსაფრთხო, ჯანსაღი სამუშაო გარემო;
2. დამსაქმებელი ვალდებულია მაქსიმალურად დაიცვას შრომის კოდექსით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 10. წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და გამოყენების წესი

ინსტიტუტის დირექტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების, ასევე, დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი.

მუხლი 11. სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

1. თუ თანამშრომელი საპატიო მიზეზით გარკვეული დროით ვერ შეძლებს სამსახურში გამოცხადებას, ის ვალდებულია, გააფრთხილოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და წინასწარ განცხადებით მიმართოს დირექტორს;
2. თუ თანამშრომელი საპატიო მიზეზით ვერ ახერხებს სამსახურში გამოცხადებას, ის ვალდებულია, გააფრთხილოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელიც აღნიშნულის შესახებ აცნობებს დირექტორს.

მუხლი 12. შინაგანაწესის ამოქმედება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ინსტიტუტის შინაგანაწესი, რომელსაც ამტკიცებს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ხელს აწერს დირექტორი, ძალაში შედის თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმების მომდევნო სამუშაო დღეს;
2. ინსტიტუტის დირექტორს, ან სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს მოამზადოს წინადადებები შინაგანაწესში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და განსახილველად წარუდგინოს სამეცნიერო საბჭოს;
3. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ვალდებულია, თითოეულ თანამშრომელს გააცნოს შინაგანაწესი.